

ს.ს.ი.პ. ბაგაშენი ენერჯი
საქართველო
04-06 2024წ.
№ 5596

01-048/03

Date 04.05.2024

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

წარმოგიდგინებ ინფორმაციას, ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ლუხუნი 2 ჰესის 110 კვ ძაბვის ქვესადგურის, 110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ონი 110“-თან დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით თქვენს 2024 წლის 5 აპრილის N21/3496 წერილში მოცემულ დასაზუსტებელი საკითხების თაობაზე, კერძოდ:

საკითხი 1 - მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ გზშ-ის ანგარიშში არასრულად არის მოცემული ეგზ-ის დერეფანში არსებული კერძო საკუთრებების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზები ასევე კვეთს კერძო საკუთრებებს; ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთ შეუსაბამო ინფორმაცია. კერძოდ, 6.12.2 ქვეთავის პირველ აბზაცში აღნიშნულია, რომ „სულ გავლენის ზონაში მოქცეულია 5 კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომლებზედაც დაგეგმილია საყრდენი ანძების განთავსება“. ხოლო ამავე ქვეთავის მესამე აბზაცში აღნიშნულია, რომ ეგზ-ის საყრდენი ანძების განთავსება დაგეგმილია მხოლოდ ერთ ნაკვეთზე.

კომპანიის პასუხი - შენიშვნა გათვალისწინებულია: საყრდენი ანძების მოწყობა დაგეგმილია მხოლოდ ერთ კერძო მფლობელობაში არსებულ ნაკვეთზე, კერძოდ: შპს „ჯი ინვესტი“-ს ტერიტორიაზე. შპს „ჯი ინვესტი“-ს თანხმობის წერილი მოცემულია დანართში N1, ხოლო საყრდენი ანძების განლაგების სქემა სურათზე 1.1. ელექტროგადამცემი ხაზის სხვა ყველა ანძა განთავსებული იქნება კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების საზღვრების გარეთ.

სურათი 1.1. საყრდენი ანძების განლაგების სქემა შპს „ჯი ინვესტი“-ს ტერიტორიაზე



საკითხი 2 - როგორც გზშ-ის ანგარიშის, ისე სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვებზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა ეგზ-ის გაყვანით ონის მუნიციპალიტეტში კერძო ნაკვეთებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხს.

გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული შენიშვნის პასუხად მოცემულია განმარტება, რომ შერჩეული ალტერნატივის განხორციელებით კერძო ნაკვეთებზე ზემოქმედება არ იქნება მოსალოდნელი ვინაიდან კერძო საკუთრებაზე საყრდენი ანძების განთავსება არ არის დაგეგმილი (საყრდენი ანძები განთავსდება მხოლოდ ერთ კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, აღნიშნული შეთანხმება მოცემულია გზშ-ის ანგარიშში). ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების თანახმად, 110 კვ ძაბვის საპაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის დაცვის ზონა დგინდება საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საპაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია 20 მ-ით. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი 05 აპრილი 2024 N 2 1 / 3 4 96 უნდა იყოს საპროექტო ეგზ-ის დაცვის ზონაში არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;

კომპანიის პასუხი - როგორც პირველი შენიშვნის პასუხშია მოცემული, ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენი ანძები განთავსებულია მხოლოდ ერთ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, კერძოდ: შპს „ჯი ინვესტი“-ს ტერიტორიაზე (კომპანიის თანხმობა მოცემულია დანართში N1), დანარჩენ მიწის ნაკვეთებზე ანძების განთავსება დაგეგმილი არ არის. სულ ეგზ-ს გასხვისების 20 მ-იან ზონაში ექცევა 30-მდე მიწის ნაკვეთი, რომელთაგან ელექტროსადენებით უშუალოდ გადაიკვეთება და ფარავს 9 მიწის ნაკვეთს. დანარჩენ შემთხვევაში გავლენის ზონაში ექცევა მიწის ნაკვეთების განაპირა ტერიტორიების მცირე ფართობები.

„ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის 20 მ სიგანის ზონა განსაზღვრულია მოსახლეობაზე ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების პრევენციის მიზნით და შესაბამისად ამ ზონაში დაუშვებელია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობების არსებობა, სადაც ადამიანებს უწყვეტ ხანგრძლივი დროით ყოფნა. გამომდინარე იქედან, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე სამუშაოები მოკლევადიანია, ზემოქმედების რისკი მინიმალურია. როგორც ზემოთ აღინიშნა, 9 შემთხვევაში ელექტროგადამცემი ხაზი გაივლის უშუალოდ მიწის ნაკვეთებზე, რაც ზრდის ზემოქმედების რისკებს. აღნიშნული 9 ნაკვეთის მეპატრონესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოცემულია დანართში N1 და ცხრილში 2.1.

ცხრილი 2.1. მიწის ნაკვეთების ნუსხა, რომელთა გადაკვეთ ხდება ელექტროგადამცემი ხაზით

N	მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი	მეპატრონის გვარი, სახელი	შენიშვნა
1	88.04.23.074	გოგლიძე ნონა	
2	83.13.25.070	გუგეშაშვილი აველი	
3	88.13.25.031	გუგეშაშვილი ბენო	
4	88.04.23.108	ყავლაშვილი თორნიკე	
5	88.13.26.114	ბერუაშვილი ნინო	
6	88.10.27.167	შპს „ცოტნე“	
7	88.04.23.017	შპს „ხეორიპესი“	

8	88.10.27.015	შპს „ჯი ინვესტი“	
9	88.04.23.056	თამარ ლებანიძე	


საკითხი 3 - ეგხ-ის რამდენიმე მონაკვეთზე დაცვის ზონაში ექვევა კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები (მაგ: 88.18.21.196, 88.04.23.017). აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი უნდა იყოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით განსაზღვრული ნორმების დაცვის შესახებ ინფორმაცია.

კომპანიის პასუხი - კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 88.04.23.017, დღეისათვის ფუნქციონირებს ხეორი ჰესი. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი გაივლის ხეორი ჰესის ტერიტორიაზე ჰესის შენობის უშუალო სიახლოვეს, მაგრამ სადენები შენობის თავზე არ იქნება განთავსებული. საპროექტო ეგხ-ს ხეორი ჰესის ტერიტორიაზე გატარების თაობაზე საკითხში შეთანხმებულია შპს „ხეორი ჰესთან“. შეთანხმების დამადასტურებელი შპს „ხეორი ჰესი“-ს თანხმობა მოცემულია დანართში N1.

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 88.18.21.196, განთავსებულია შპს „პროგრესი“-ს მაღაზიის შენობა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი „ჯეჯორა ჰესი“. აღნიშნულ ნაგებობებზე ზემოქმედების შემცირების მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება საპროექტო ეგხ-ს N73 ანძის ადგილმონაცვლეობის თაობაზე, კერძოდ: საპროექტო ანძა მდ. ჯეჯორას მარცხენა სანაპიროდან გადატანილია მარჯვენა სანაპიროზე სოფ. კომანდელის ხიდის ზედა დინებაში (ახალი მდებარეობით ანძის გეოგრაფიული კოორდინატებია X= 371160, Y=4714683, ნაცვლად X= 371086, Y= 4714712). N73 ანძის და შესაბამისად ეგხ-ს GIS კოორდინატები shp ფაილების სახით თან ერთვის წერილის ელექტრონულ ვერსიას. ცვლილების მიხედვით, N73 ანძა მდ. ჯეჯორას სანაპიროდან დაცილებული იქნება დაახლოებით 8 მ-ით. მდინარის მიერ ეროზიისაგან დაცვის მიზნით გათვალისწინებულია დამცავი ნაგებობის მოწყობა (იხილეთ დანართი N2).

განხორციელებული ცვლილების მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი აცდენილია შპს „პროგრესი“-ს ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებს ეგხ-ს გასხვისების ზოლში ხვდება მხოლოდ მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილი (იხილეთ სურათი 3.1.). ეგხ-ს პროექტში შეტანილი ცვლილების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იქნება სკრინინგის განაცხადი.

სურათი 3.1.: N73 ანძის ადგილმონაცვლეობის სიტუაციური სქემა



საკითხი 4 გზშ-ის ანგარიშში გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილე სპეციალისტების ნუსხა და მათ მიერ მომზადებული პარაგრაფები მოცემულია ცხრილის სახით. აღნიშნულ ცხრილში არ არის მოცემული გეოლოგის ხელმოწერა, ხოლო ცხრილის მიხედვით გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი შესრულებულია სხვა პროფესიის სპეციალისტის (სოციოლოგის) მიერ, შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

კომპანიის პასუხი - გათვალისწინებულია: გზშ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილე პერსონალის კორექტირებული ნუსხა მოცემულია ცხრილში 4.1.

ცხრილი 4.1. გზშ-ს პროცესში მონაწილე პერსონალის ნუსხა

N	სახელი, გვარი	სამუშაო ადგილი	დაკავებული პოზიცია	სპეციალისტის მიერ მომზადებული პარაგრაფები	ხელმოწერა
1	ზურაბ მგალობლიძე	შპს „გამა კონსალტინგი“	დირექტორი	პროექტის საერთო ხელმძღვანელობა	<i>[Handwritten Signature]</i>
2	ჯუღული ახვლედიანი	შპს „გამა კონსალტინგი“	გეოლოგი	მე-3, მე-6, მე-7, მე-8, მე-10, მე-11 თავები	<i>[Handwritten Signature]</i>
3	ლევან თურმანიძე	შპს „გამა კონსალტინგი“	გეოლოგი	პარაგრაფი 6.12 და 6.14	<i>[Handwritten Signature]</i>
4	ელენე მგალობლიძე	შპს „გამა კონსალტინგი“	სოციოლოგი	პარაგრაფი 5.7 და 6.12	<i>[Handwritten Signature]</i>
5	თამაზ ბუდაშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	ატმოსფერული ჰაერის სპეციალისტი	პარაგრაფი 6.4	<i>[Handwritten Signature]</i>
6	ნიკო გელაშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	ნარჩენების მართვის სპეციალისტი	პარაგრაფი 6.11. და 14.4.	<i>[Handwritten Signature]</i>
7	ნიკოლოზ დვალი	შპს „გამა კონსალტინგი“	ზოოლოგი	პარაგრაფი 5.2.5.4, და 6.9.3	<i>[Handwritten Signature]</i>
8	არჩილ ყველაშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	ბოტანიკოსი	პარაგრაფი 5.2.5.1, და 6.9.2	<i>[Handwritten Signature]</i>
9	გიორგი ზაალიშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	იქთიოლოგი	პარაგრაფი 5.2.5.2, და 6.9.4	<i>[Handwritten Signature]</i>
10	გიორგი წემსიწვერიძე	შპს „გამა კონსალტინგი“	GIS სპეციალისტი	რუკების და ნახაზების მომზადება	<i>[Handwritten Signature]</i>
11	დავით თედორაძე	მოწვეული სპეციალისტი	გეოლოგი	პარაგრაფი 5.3	<i>[Handwritten Signature]</i>

საკითხი 5 -გზშ-ის ანგარიშის თანახმად, რამდენიმე ანძის განთავსება დაგეგმილია მდინარის სიახლოვეს, ხოლო მდინარის ღვარცოფული თვისებების გათვალისწინებით, ანძების ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის პროექტი ითვალისწინებს ლოკალური ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობას, თუმცა გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, shp ფაილები და ტექნიკური მახასიათებლები, ასევე არ არის წარმოდგენილი ნაპირსამაგრი სამუშაოებით გამოწვეული გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;

კომპანიის პასუხი - კვლევის შედეგების მიხედვით, ეგხ-ს დერეფანში დაგეგმილი ანძებიდან მდ. რიონის და მდ. ჯეჯორას კალაპოტის სიახლოვეს განთავსებული იქნება 4 ანძა, რომელზედაც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში შეიძლება ადგილი ქონდეს მდინარისმიერი ეროზიული პროცესების ზემოქმედებას. ასეთი ანძებია: N55, N56, N61 და N73.

აღნიშნული ანძების საძირკვლების გამაგრების პროექტის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები მოცემულია დანართში N2.

საკითხი 6 -მონაცემების გადამოწმებით დგინდება, რომ N58 ანძის განთავსება დაგეგმილია მდ. ხეორის სიახლოვეს, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ნაპირდამცავი ღონისძიებების საჭიროების საკითხი;

კომპანიის პასუხი - ეგხ-ს პროექტის მომზადების პროცესში N58 ანძის განთავსების ადგილი შერჩეულია წინასწარი კვლევის შედეგების საფუძველზე. კვლევის შედეგების მიხედვით, ანძის განთავსების უბანი მდებარეობს მდ. ხეორის მარჯვენა ნაპირზე მდ. რიონის შესართავთან, ჩრდილო-დასავლეთით სუსტად დახრილ ტერიტორიაზე, შემადგენელ ადგილზე 746 მ ნიშნულზე). მდ. რიონის კალაპოტიდან დაცილების მანძილი შეადგენს 89 მ-ს, ხოლო მდ. ხეორის კალაპოტიდან 40 მ-ს. ანძის განთავსების ადგილზე გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება და საინჟინრო-გეოლოგიური პირობები დამაკმაყოფილებელია.

მდ. ხეორი მდ. რიონის შესართავთან მეანდრირებს, რის გამოც კალაპოტი ფართოა და სიგანე შეადგენს 100-120 მ-ს. N58 ანძის განთავსების ადგილის მდინარის კალაპოტიდან დაცილების მანძილი გამორიცხავს დატბორვის რისკებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ამ ტერიტორიის დატბორვას ადგილი არ ქონია.

საკითხი 7 -გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შემდეგ განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება, შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ანძების ნაწილის მოწყობა დაწყებულია, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს არსებული/ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;

კომპანიის პასუხი - გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის პერიოდში და დღეის მდგომარეობით საპროექტო ანძების ნაწილის, რომელთა მოწყობა დაგეგმილია მდ. რიონის ხეობის ქვედა ნიშნულეზე, საძირკვლები მოწყობილია. ანძების მოწყობა დაწყებულია მხოლოდ იმ წერტილებში სადაც არსებობს მისასვლელი გზები და ახალი გზების მიწყობა საჭირო არ არის.

საკითხი 8 -პოლიგონური Shp ფაილებით (საქალაქე „მისასვლელი გზების მასალები“) და ხაზოვანი Shp ფაილებით (საქალაქე SHP „ლუხუნი გზები“) წარმოდგენილი საპროექტო გზების კონტურები ურთიერთ შეუსაბამოა;

კომპანიის პასუხი -შენიშვნა გათვალისწინებულია: წერილს თან ერთვის მისასვლელი გზების კორექტირებული GIS კოორდინატები SHP ფაილების სახით.

საკითხი 9 - განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური ტყით სარგებლობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციაში (დანართი 4) წარმოდგენილი Shp ფაილების კონტურები ურთიერთ შეუსაბამოა და სრულად არ ასახავს ეგზ-ის (საქალაქი „ლუხუნი ეგზ - შეიფ ფაილები“) შემადგენელი ობიექტების (გზა, ბუფერი, საყრდენი ანძები და ა.შ.) ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყესთან თანაკვეთას;

კომპანიის პასუხი - შენიშვნა გათვალისწინებულია: ელექტროგადამცემი ხაზის GIS კოორდინატები შეიფ ფაილები თან ერთვის წერილის ელექტრონულ ვერსიას. იხილეთ დანართი N3.

საკითხი 10 - გზშ-ის ანგარიშზე თანდართული დაგეგმილი საქმიანობის შემადგენელი ობიექტების ნაწილის (გზები, ეგზ-ის ბუფერი და ბანაკები) Shp ფაილები, წარმოდგენილია ხაზოვან ფენაში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ობიექტები წარმოადგენს ფართობულ ობიექტებს, ეგზ-ის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული ფართობების დადგენის მიზნით, Shp ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე პოლიგონურ ფენაში;

კომპანიის პასუხი - შენიშვნა გათვალისწინებულია: ელექტროგადამცემი ხაზის შემადგენელი ობიექტების (გზები, ეგზ-ის ბუფერი და ბანაკები) კორექტირებული Shp ფაილები თან ერთვის წერილის ელექტრონულ ვერსიას. იხილეთ დანართი N3.

საკითხი 11 - გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნამეტი გრუნტის განთავსება დაგეგმილია ლუხუნი 2 ჰესის მშენებლობის პროცესში გამოყენებულ სანაყაროს ტერიტორიაზე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სანაყაროს არსებული მდგომარეობა, ასევე სანაყაროზე დამატებით 1500-2000 მ³ მოცულობის გამონამუშევარი გრუნტის განთავსების შესაძლებლობის საკითხი;

კომპანიის პასუხი - როგორც გზშ-ს ანგარიშის 4.3.2. პარაგრაფშია მოცემული, ეგზ-ს მშენებლობის პროცესში ექსკავირებული ქანების ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით ანძების საძირკვლების თხრილების შესავსებად და გზების ვაკისების მოსაწყობად. ნამეტი გრუნტის წარმოქმნის შემთხვევაში, მისი განთავსება მოხდება შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაცია“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 86.01.30.001) მოწყობილ ფუჭი ქანების სანაყაროზე. სანაყარო განთავსებულია ლუხუნი ჰესის წყალგამტარი გვირაბის გამოსასვლელი პორტალის მიმდებარე ტერიტორიაზე. დღეისათვის ჰესის პროექტით გათვალისწინებული მიწის სამუშაოები პრაქტიკულად დამთავრებულია და მიმდინარეობს ჰესის ძალური კვანძის ინფრასტრუქტურის სამონტაჟო სამუშაოები. შესაბამისად ჰესის მშენებლობის პროცესში დამატებით წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო.

დღეს არსებული მდგომარეობით, ფუჭი ქანების სანაყაროს ზედაპირი სწორი ზედაპირისაა და ტერიტორიის ნაწილი გამოყენებულია სადაწნეო მილსადენის მიწების დროებით დასაწყობებისათვის. როგორც აღინიშნა მიმდინარეობს ძალური კვანძის სამონტაჟო სამუშაოები, მათ შორის სადაწნეო მილსადენის სამონტაჟო სამუშაოები და სანაყაროს ზედაპირზე დასაწყობებული მიწები გატანილი იქნება ტერიტორიიდან.

სანაყაროს საერთო ფართობის (2875 მ²) და დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ეგზ-ს პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ფუჭი ქანების მაქსიმალური რაოდენობის დაახლოებით 2 000 მ³-ის სანაყაროზე განთავსება შესაძლებელია უსაფრთხოდ და გეოდინამიკური პროცესების გააქტიურება მოსალოდნელი არ არის. სანაყაროს ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის და ფუჭი ქანების განთავსება ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ იქნება.

ფუჭი ქანების დასაწყოების შემდეგ ჩატარდება სანაყაროს ზედაპირის რეკულტივაციის სამუშაოები.

სანაყაროს არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა მოცემულია სურათზე 11.1.

სურათი 11.1. ფუჭი ქანების სანაყაროს ტერიტორიის ხედები



საკითხი 12 -სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი კვეთს სორის დიაბაზის გამოვლინების კონტურს და გადაკვეთის ადგილებში ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორია კვეთს ზუდალის ქვიშა-ხრეშის გამოვლინების კონტურს, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;

კომპანიის პასუხი - სორის დიაბაზის გამოვლინების და ზუდალის ქვიშა-ხრეშის გამოვლინების საპროექტო ეგზ-ს დერეფნით გადაკვეთის საკითხის სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი წერილი (9 ნოემბერი 2023 წელი N22/9474) მოცემულია გზშ-ს ანგარიშის N7 დანართში. შეთანხმების წერილით განსაზღვრულია გავლენის ზონაში მოქცეული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობები და შესაბამისი საკომპენსაციო თანხები.

სურათზე 12.1. მოცემულია სააგენტოს წერილის ასლი რომლის მიხედვით, შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაცია“-ს უფლება აქვს საკომპენსაციო თანხის გადახდა მოახდინოს მშენებლობის დაწყებამდე.

სურათი 12.1. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს წერილის ასლი



**სსიპ მინერალური რესურსების
ეროვნული სააგენტო**

150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი, საქართველო
+995 32 295 00 30

24 / მაისი / 2024 წ.



KA020102161361024

№ 22/3498

შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაციის“
დირექტორს ბატონ გერონტი ცვარიანს
მის.: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №61
ტელ.: 593 22 67 60
ელ. ფოსტა: dmindel@iecCorp.ge

ბატონო გერონტი,

2024 წლის 20 მაისის თქვენი N4695 (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი) წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2023 წლის 09 ნოემბრის სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს № 22-9474 წერილში აღინიშნა, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით“.

მოქმედი კანონმდებლობით საკომპენსაციო თანხის გადახდის კონკრეტული ვადა არ არის დადგენილი. თუმცა აღნიშნული უნდა განხორციელდეს საშუაოების დანყებამდე.

პატივისცემით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე

საკითხი 13-გზმ-ის ანგარიშის თანახმად „მომზადებულია „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია (იხილეთ დანართი N3)“ თუმცა გზმ-ის ანგარიშის დანართი N3 წარმოადგენს ნარჩენების მართვის გეგმას.

კომპანიის პასუხი- შენიშვნა გათვალისწინებულია: გზმ-ს ანგარიშში დაშვებული იყო მექანიკური უზუსტობა, კერძოდ „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის განთავსების თაობაზე ჩანაწერი ნაცვლად დანართი 3-სა მოცემული უნდა ყოფილიყო დანართი 4.

პატივისცემით,

გერონტი ცვარიანი

შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაცია“-ს დირექტორი

